პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება N

2023 წლის --- აგვისტო; ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N117ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე N05.26.03.013 მშენებარე სასწავლო დაწესებულების მშენებლობის - განსაკუთრებული მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტად ცნობის და განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 19 ივლისის N15 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ განსაზღვრული დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებისა და საკომპენსაციო ღონისძიების გამოყენების და ამ კანონით გათვალისწინებული სათათბირო საბჭოს საქმიანობის წესის“ მე-4 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიჩნეულ იქნას, ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N117ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე N05.26.03.013 სასწავლო დაწესებულების მშენებლობა განსაკუთრებული მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტად და ამ მიზნით ხელშემწყობი ღონისძიების სახით საპროექტო ობიექტს გაეზარდოს განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტი 3,0-მდე.

2. კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზ-ღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთზე (ს/კ N05.26.03.013) დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროექტის მიხედვით გადამეტებული) კ1/2 მაჩვენებლის 10 %-ს ოდენობით საცხოვრებელი ფართობის საბაზრო ღირებულების ოდენობის თანხით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით (მათ შორის სხვა ტერიტორიაზე საცხოვრებელი ფართების მუნიციპალიტეტისათვის გადაცემით).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N117ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე N 05.26.03.013 მშენებარე სასწავლო დაწესებულების მშენებლობის - განსაკუთრებული მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტად ცნობის და განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

წარმოდგენილი განცხადება ითვალისიწინებს ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N117ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე N05.26.03.013 სასწავლო დაწესებულების მშენებლობა განსაკუთრებული მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტად ცნობას და ამ მიზნით ხელშემწყობი ღონისძიების სახით განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტი 3,0-მდე გაზრდას.

წარმოდგენილი პროექტით ხდება საგანმანათლებლო დაწესებულების საერთო საცხოვრებელის 26 სართულამდე გაზრდა; მნიშვნელოვნად გაიზრდება საგანმანათლებლო ხარისხი, იგი გათვლილი იქნება სტუდენტებზე, მოსწავლეებზე. დაწესებულებისათვის შეიქმნება სპორტული სივრცეები.

ხელშეწყობის ღონისძიების სახით მოთხოვნილია განაშენიანების ინტენსივობის $კ^2$ კოეფიციენტის გაზრდა 3,0-მდე; სანაცვლოდ დაწესებულება კისრულობს ვალდებულებას, მომატებული კოეფიციენტის 10%-ს შეთანხმების შესაბამისად გადასცემს მუნიციპალიტეტს.

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N117ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე N 05.26.03.013 მშენებარე სასწავლო დაწესებულების მშენებლობის - განსაკუთრებული მუნიციპალური მნიშვნელობის პროექტად ცნობის და განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდის შესახებ განკარგულების მიღება.

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება:

ბ.ა) განკარგულების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქალაქგანვითარებისა და ურბანული
პოლიტიკის სამსახურის უფროსის მ/შ **მამუკა რამიშვილი**